შემოსავლების
სამსახური

# აუდიტის დეპარტამენტი

# ბრძანება N 2548

03/02/2015

**შპს "დაიმონდ თამარის" (ს/ნ 204469789) საქმიანობის კამერალური საგადასახადო შემოწმების შესახებ**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 263-ე მუხლის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დაინიშნოს შპს "დაიმონდ თამარის" (ს/ნ 204469789) საქმიანობის კამერალური საგადასახადო შემოწმება ბიუჯეტთან ანგარიშწორების კუთხით;
2. შესამოწმებელი პერიოდი განისაზღვროს 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე, მოგების და ქონების გადასახადების ნაწილში შემოწმდეს 2011, 2012 და 2013 წლების საანგარიშო პერიოდი;
3. შემოწმების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 3 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით;
4. შემოწმება დაევალოს აუდიტის დეპარტამენტის შემოწმების მთავარი სამმართველოს გასვლითი საგადასახადო შემოწმების მე-6 სამმართველოს მთავარ აუდიტორებს ლევან ლომთაძეს, ქეთევან დევდარიანს, უფროს აუდიტორებს ნატო ვაჭარაძეს, ნესტან ბაზერაშვილს, აუდიტორებს ხათუნა დევიძეს, გიორგი ფოფხაძეს და ასისტენტს ვახტანგ ბარბაქაძეს;
5. შპს "დაიმონდ თამარს" სსკ-ის 51-ე მუხლის შესაბამისად გადაეცეს გადასახადის გადამხდელის უფლება-მოვალეობების განმარტებითი ბარათი;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს შემოწმების მთავარი სამმართველოს კამერალური საგადასახადო შემოწმების მე-6 სამმართველოს უფროსს ვახტანგ ბერიძეს.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში - წერილობითი ან ელექტრონული (www.rs.ge) ფორმით საჩივრის შემოსავლების სამსახურში (მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N16 ან ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. N5) წარდგენის გზით, აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6) ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N11) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი: ადმინისტრირების დეპარტამენტის 2015 წლის 2 თებერვლის №11612-21 სამსახურებრივი ბარათი.

ბაქარი დევდარიანი

დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი